ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ ბელგრადში საპატრიარქო ლიტურგიაში მიიღო მონაწილეობა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 26.02.2025. 2025 წლის 26 თებერვალს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ მონაწილეობა მიიღო საღმრთო ლიტურგიაში ტაძრის დღესასწაულთან დაკავშირებით ახალ ბელგრადში, წმინდა მღვდელთმთავარ საბა სერბის მშობლის, ღირსი სვიმეონ მირონმდინარის ეკლესიაში. ღვთისმსახურებას უძღვებოდა სერბეთის უწმინდესი პატრიარქი პორფირე.

მის უწმინდესობას ასევე თანამსახურებდნენ მორავიჩის ეპისკოპოსი ტიხონი; მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი; სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სამღვდელთმთავრო სინოდის მთავარი მდივანი, არქიმანდრიტი ნექტარი (ჯურიჩი); ტაძრის წინამძღვარი, საპატრიარქოს ადმინისტრაციული კანცელარიის დირექტორი, არქიმანდრიტი დანიელი (გავრანოვიჩი); სერბეთის პატრიარქის კაბინეტის ხელმძღვანელი, დეკანოზი გიორგი

სტოისავლევიჩი; ბელგრადის სამღვდელოება.

საღმრთო ლიტურგიისა და სერბეთის ეკლესიაში მიღებული კოლაჩის კურთხევისა და ჭრის რიტუალის შემდეგ, უწმინდესმა პატრიარქმა პორფირემ მორწმუნეებს ღირსი სვიმეონ მირონმდინარის ღვაწლის შესახებ ქადაგებით მიმართა.

მისი უწმინდესობა ასევე მიესალმა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას და სიხარული გამოთქვა საღმრთო ლიტურგიაზე ერთობლივი ლოცვისთვის. „ჩვენ ერთად ვლოცულობთ ღმრთის მიმართ, რადგან ეკლესია ერთია და ჩვენ ყველა ერთი ხალხი ვართ, ერთი სისხლი და ერთი სხეული ქრისტეში. გარდა იმისა, რომ ჩვენ ბიოლოგიური ფესვებით ძმები ვართ, ამავდროულად ისტორიულად განუყოფლად გვაკავშირებს ერთი სული, ერთი კულტურა, ერთი მართლმადიდებლური სარწმუნოება. ამიტომ მადლობას ვუხდი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს, იმისათვის რომ გვაკურთხა, რომ დღეს ჩვენთან ყოფილიყვნენ მისი წარმოგზავნილები“ – განაცხადა პატრიარქმა პორფირემ.

თავის მხრივ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ სერბეთის ეკლესიის წინამძღვარს უწმინდეს პატრიარქ კირილესგან გადასცა მტკიცე ძალების, ჯანმრთელობისა და საწინამძღვრო მსახურებაში ღვთის მრავალშემწეობის გულწრფელი სურვილები, ხოლო მთელს ღვთისმოსავ სერბ ხალხს – მშვიდობა და კეთილდღეობა.

იერარქმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საღმრთო ლიტურგიის ერთობლივი მსახურება თვალსაჩინოდ მეტყველებს რუსეთისა და სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიებისა და იმ ხალხების ერთობას, რომლებსაც ისინი ემსახურებიან.

ფოტო ***სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საიტიდან***

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92919/